ანტიკორუფციული ბიურო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

25/11/2025

№ 00023838

წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, განცხადებებისა და შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18[1] მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის №81 დადგენილებით დამტკიცებული „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტისა და სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2024 წლის 05 აგვისტოს №5 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანტიკორუფციული ბიუროს დებულების“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის (შემდგომში - კომისია) შექმნის მიზნით, კომისიაში გაწევრების მსურველი კანდიდატებისთვის განისაზღვროს დამატებითი ვადა - 3 (სამი) დღე და კანდიდატებს მიეცეთ შესაძლებლობა, წარმოადგინონ განცხადება და შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია არაუგვიანეს 2025 წლის 27 ნოემბრისა;
2. სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (https://acb.gov.ge) 2025 წლის 25 ნოემბერს გამოქვეყნდეს წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, განცხადებებისა და შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ ინფორმაცია;
3. კომისიაში გაწევრების მსურველმა კანდიდატებმა წარმოადგინონ სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2025 წლის 03 ნოემბრის N00020753 ბრძანების დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

0108 თბილისი, გ. ლორთქიფანიძის ქ. N4
info@acb.gov.ge

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რაჟდენ კუპრაშვილი

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი